ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 18

4 მაისი 2018 წ

ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

11:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2.კომისიის წევრები: ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე,ლევან დარახველიძე, ირაკლი ნადირაძე.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გაერთიანებული კომისიების სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

კენჭი უყარეს წარმოდგენილ დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1.ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილები;№11-01181201014 30.04.2018წ; #11-01181222423 02.05.2018წ)

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.(№12-031812050-03 30.04.2018წ)

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა

და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ. (№12-031812050-03 30.04.2018)

4.ქ .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ (№12-031812050-03 30.04.2018)

5. ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 821 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.07.008.112) და ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924), ნონა ბაქრაძისა(№პ/ნ 01008030050) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ/კოდი:№01.14.07.008.012)მესაკუთრეთა უფლებების უცვლელად გაერთიანების, აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა და ნონა ბაქრაძესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.14.587 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №323 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (№12-031812050-03 30.04.2018)

6. ქ.თბილისში,ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა №14-ში (საკ/კოდი 72.12.05.046.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-031812051-03 30,04,2018წ)

7. ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპ.№2ბ-ში (საკ/კოდი 01.19.27.009.001.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-031812051-03 30,04,2018წ)

8. ქ.თბილისში, ლილოს დასახლების მე-2 მიკრორაიონის კორპ.№5-ში (საკ/კოდი 01.19.27.002.003.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-031812051-03 30,04,2018წ)

9. ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტლის, კორპ.№11-ში (საკ/კოდი 01.19.27.007.015.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (№12-031812051-03 30,04,2018წ)

10. ქ.თბილისში, პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე (საკ/კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 125300 კვმ მიწის ნაკვეთიდან 6 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის-ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ 01017042136) სარგებლობის

უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-031812051-03 30,04,2018წ)

11. ქ.თბილისში, ლიბანის ქუჩა, I ჩიხი №2-ში (საკ/კოდი #01.11.03.004.005) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

#12-03181026-03 12,04,2018წ

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

(საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი №11-01181201014 30.04.2018წ; #11-01181222423 02.05.2018წ)

საკითხის შესახებ ისაუბრა გაიოზ თალაკვაძემ. მან აღნიშნა, რომ გლდანისა და საბურთალოს რაიონულ გამგეობებს „გზების მოვლა-შკეთების" პროგრამებში ესაჭიროებათ მესამე კვარტლიდან თანხების მეორე კვარტალში გადმოტანა. გლდანის რაიონს გადმოაქვს საერთო ჯამში 600 000 ლარი,ხოლო საბურთალოს რაიონს 300 000 ლარი. აღნიშნულ რაიონებში მიმდინარეობს გზების ინტენიურად შეკეთების სამუშაოები,გამომდინარე აქედან გზების მოვლა-შეკეთების პროგრამებში მეორე კვარტალში გათვალისწინებული თანხები არასაკმარისია. ხოლო ისნის რაიონში „გზების მოვლა-შეკეთების" პროგრამაში 224 300 ლარის გადატანა ხდება მესამედან მეოთხე კვარტალში,რაც ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებია. გლდანის რაიონის „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში 95800 ლარის გადატანა ხდება „საქონელი და მომსახურების" მუხლიდან „ არაფინანსური აქტივების" მუხლში. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ დასრულდა რაიონის ტერიტორიაზე 6 მისამართზე სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, დასრულების ეტაპზეა სკვერის მოწყობის სამუშაოები. გარდა ამისა შესათანხმებლად წარმოდგენილია თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნა მეორე კვარტლის „შრომის ანაზრაურების" მუხლიდან 25000 ლარის„„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლში გადატანის შესახებ, რაც გამოწვეულია საკრებულოს აპარატში დასაქმებულ მომსამსახურეთა მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე სოციალური დახმარების ხარჯების გაწევის გამო.

კომსიის წევრებს შეკითხვები ქონდათ რაიონებში „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების „ პროგრამებში აუთვისებელ თანხებთან დაკავშირებით. გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ გამგეობები თავიანთ წერილებში აღნიშნავენ, რომ ბინთმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ახალი წესის ამოქმედებიდან გამომდინარე, მათ წარმოეშვათ ეკონომიები შესაბამის პროგრამებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის, საბურთალოს და ისნის რაიონის გამგეობები ითხოვენ, მათზე მიკუთვნებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალურ გადანაწილებებს, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.**

მოისმინეს:. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით ისაუბარა ირაკლი თავართქილაძემ. მან დაწვრილებით ისაუბრა საკითხთან დაკავშირებით. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადასცემს გამარჯვებულ პირს უძრავი ქონებას (მიწის ნაკვეთს), მასზე მრავალდონიანი მიწისქვეშა ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით. საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო ფართობია 2250 კვ.მ, ადგილმდებარეობა - ქალაქი თბილისი, **გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ,** ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 175 ერთეული. აღნაგობის სიმბოლურ ფასად განისაზღვრა 1 ლარი, ხოლო ვადად - შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 27 წელი, რაც მოიცავს ავტოსადგომის მშენებლობისა (2 წელი) და ოპერირების (25 წელი) ვადას. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს 87,500.00 (ოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასი) ლარს (ავტოსადგომზე ავტომანქანების ტევადობის მიხედვით, თითოეული ავტომანქანაზე 500 ლარის ოდენობით) ან მის ექვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში, ხოლო სამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის მინიმალური (საწყისი) ოდენობა შეადგენს 437,500.00 (ოთხას ოცდაჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარს (ავტოსადგომზე

ავტომანქანების ტევადობის მიხედვით, თითოეული ავტომანქანაზე 2500 ლარის ოდენობით) ან მის ეკვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, გამარჯვებული პირის გამოვლენის კრიტერიუმად დადგენილია უფრო დიდი ოდენობით შემოთავაზებულ სამშენებლო საბანკო გარანტია.

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები ქონდათ: ირაკლი ზარქუას, ირაკლი ნადირაძეს, დავით უთმელიძეს. შეკითხვები ეხებოდა შემდეგს- წარმოდგენილი პრიექტები ითვალისწინებს თუ არა სხვა კომერციულ ინტერესებს, რატომ გამოგვაქვს განხილვაზე მხოლოდ 3 ლოკაცია. მათ განემარტათ, რომ მიმდინარეობს შესწავლა, ერთდროულად ყველა ლოკაციის გამოტანამ, შემდგომში შეიძლება გამოიწვიოს სატრანსპორტო კოლაფსი, რაც შეეხება კომერციულ ინტრერესებს კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი, რომ წარმოდგენილი ლოკაციები შეიზღუდოს კომერციული ფართებით. ტენდერში გაიმარჯვებს ის, ვინც უკეთეს წინადადებას წარმოადგენს.

შეკითხვების ამოწურვის შენდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკიხთი.

მომხრე-6 , ირაკლი ნადირაძემ თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, გეგეშიძის ბაღის მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ“, გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო ფართობია 840 კვ.მ, ადგილმდებარეობა - ქალაქი თბილისი, **ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ**, ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 70 ერთეული. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, აღნაგობის სიმბოლურ ფასად განისაზღვრა 1 ლარი, ხოლო ვადად - შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 26 წელი და 6 თვე, რაც მოიცავს ავტოსადგომის მშენებლობისა (18 თვე) და ოპერირების (25 წელი) ვადას.

წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს 35,000.00 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს (ავტოსადგომზე ავტომანქანების ტევადობის მიხედვით, თითოეული ავტომანქანაზე 500 ლარის ოდენობით) ან მის ეკვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში, ხოლო სამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის მინიმალური (საწყისი) ოდენობა შეადგენს 175,000.00 (ას სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარს (ავტოსადგომზე

ავტომანქანების ტევადობის მიხედვით, თითოეული ავტომანქანაზე 2500 ლარის ოდენობით) ან მის ეკვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში.

მომხრე-6 , ირაკლი ნადირაძემ თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ვარკეთილის მეტროს მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ", გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს:.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ.

საპროექტო ტერიტორიის სავარაუდო ფართობია 5084 კვ.მ, ადგილმდებარეობა - ქალაქი თბილისი, **რკინიგზის სადგურის მიმდებარედ,** ავტოსადგომების მინიმალური რაოდენობა: 470 ერთეული. ინტერესთა გამოხატვის პირობების თანახმად, აღნაგობის სიმბოლურ ფასად განისაზღვრა 1 ლარი, ხოლო ვადად - შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან 27 წელი და 6 თვე, რაც მოიცავს ავტოსადგომის მშენებლობისა (30 თვე) და ოპერირების (25 წელი) ვადას.

წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის ოდენობა შეადგენს 235,000.00 (ორას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს (ავტოსადგომზე ავტომანქანების ტევადობის მიხედვით, თითოეული ავტომანქანაზე 500 ლარის ოდენობით) ან მის ეკვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში, ხოლო სამშენებლო ფაზის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად წარმოსადგენი საბანკო გარანტიის მინიმალური (საწყისი) ოდენობა შეადგენს 1,175,000.00 (მილიონ ას სამოცდათხუთმეტი ათასი)ლარს (ავტოსადგომზე ავტომანქანების ტევადობის მიხედვით, თითოეული ავტომანქანაზე 2500 ლარის ოდენობით) ან მის ეკვივალენტ ოდენობას აშშ დოლარში/ევროში.

მომხრე-6 , ირაკლი ნადირაძემ თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ მრავალდონიანი ავტოსადგომის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ოპერირებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის პირობების მოწონების შესახებ", გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 821 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.07.008.112) და ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924), ნონა ბაქრაძისა(№პ/ნ 01008030050) და ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ/კოდი:№01.14.07.008.012)მესაკუთრეთა უფლებების უცვლელად გაერთიანების, აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა და ნონა ბაქრაძესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.14.587 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №323 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ მოქალაქეებს იამზე მაიასაიას და ნონა ბაქრაძეს პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცათ უძრავი ქონება და საპრივატიზებო პირობად განესაზღვრათ საკ/კოდების:№01,14.07.008.112 ის და №01.14.07.008.012 გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ საკადასტრო ერთეულზე (№01.14.07.008.137) მშენებლობის ნებართვის აღების უზრუნველყოფა. მყიდველს მუნიციპალიტეტისათვის უნდა გადაეხადა 155000 აშშ დოლარის (ექვივალენტით ლარში) არქიტექტურის სამსახურის მიერ ნებართვის გაცემის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვეში. თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში პროვატიზების ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად და აღდგება ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული მდგომარეობა. არქიტექტურის სამსახურმა არ გასცა მშენებლობის უფლება და საკითხის შესწავლა მათ მიერ კვლავ მიმდინარეობს. გამომდინარე აქედან მოქლაქეები ითხოვენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელებას 2018 წლის 4 სექტემბრამდე.

მომხრე -6 , ირაკლი ნადირაძემ თავი შეიკავა.

კომისიის წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს: „ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №8-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 821 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი:№01.14.07.008.112) და ქ.თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №6-ში იამზე მაისაიას (პ/ნ 62001007924), ნონა ბაქრაძისა(№პ/ნ 01008030050) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ/კოდი:№01.14.07.008.012)მესაკუთრეთა უფლებების უცვლელად გაერთიანების, აღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და იამზე მაისაიასა და ნონა ბაქრაძესთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 9 აგვისტოს №29.14.587 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 აგვისტოს №323 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" გატანილი იქნას საკრებილოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქ.თბილისში,ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა №14-ში (საკ/კოდი 72.12.05.046.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

მოქალაქე გია მღბრიშვილს , რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს ზაჰესის დასახლებაში, მშვიდობის ქუჩა №14-ში მე-5 სართულზე 22,09 კვმ ფართში, გლდანის რაიონის შუამდგომლობით და მთავრობის განკარგულებით სიმბოლურ ფასად 1 ლარად საკუთრებაში გადაეცემა აღნიშნული ფართი.

მომხრე- 7

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, I მიკრორაიონის კორპ.№2ბ-ში (საკ/კოდი 01.19.27.009.001.01.019) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა თბილისში, ლილოს დასახლების I მიკრორაიონის კორპ.№2 ბ, ბინა 19-ის ფართის 17,00 კვმ (უძრავი ქონების) მოქალაქე თამარ დარბიაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს და სარგებლობს ამ ფართით.თბილისის მთავრობის #18,251,459 განკარგულებით საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური 1 ლარი

მომხრე- 7

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლილოს დასახლების მე-2 მიკრორაიონის კორპ.№5-ში (საკ/კოდი 01.19.27.002.003.01.025) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა თბილისში, ლილოს დასახლების 2 მიკრორაიონის კორპ.№5-ში, ბინა 25-ის ფართის 17,00 კვმ (უძრავი ქონების) მოქალაქე ლეილა სიფრაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს და სარგებლობს ამ ფართით.თბილისის მთავრობის #18,253.455 განკარგულებით საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური 1 ლარი

მომხრე- 7

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლილოს დასახლების, მე-4 კვარტლის, კორპ.№11-ში (საკ/კოდი 01.19.27.007.015.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა თბილისში, ლილოს დასახლების 4 კვარტლის კორპ.№11-ში, ბინა 1-ის ფართის 61,74 კვმ (უძრავი ქონების) მოქალაქე ალექსი მირინაშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით. მოქალაქე ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობს და სარგებლობს ამ ფართით.თბილისის მთავრობის #18,252.458 განკარგულებით საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა სიმბოლური 1 ლარი

მომხრე- 7

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, პარკი „მზიურის" ტერიტორიაზე (საკ/კოდი: №01.14.14.005.156) არსებული 125300 კვმ მიწის ნაკვეთიდან 6 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის- ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით გიგი ანთაძისთვის (პ/ნ 01017042136) სარგებლობის უფლებით, თხოვების ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომართა განცხადებით გიგი ანთაძის კანონისმიერმა წარმომადგენელმა და მოითხოვა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული პარკი „მზიურის ტერიტორიაზე არსებული 125300 კვმ მიწის ნაკვეთიდან 6 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტის-ჯიხურის პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო საკუთრებაში გადაცემა.აღნიშნულთან დაკავშირებით იშუამდგომლა მერიის კულტურის, განათლების,სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურმა. დადებითი პოზიცია წერილობით გამოხატა მერიის ადმინისტრაციამ.

მთავრობის №18.273.481 განკარგულებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6 კვმ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული სავაჭრო ობიექტი-ჯიხური, გიგი ანთაძეს თხოვების ფორმით გადაეცემა ორი წლის ვადით.

მომხრე- 7

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქ.თბილისში, ლიბანის ქუჩა I ჩიხი №2-ში (საკ/კოდი #01.11.03.004.005) მდეაბრე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი- ირაკლი თავართქილაძე

გლდანის რაიონის შუამდგომლობით, თბილიში ლიბანის ქუჩა I ჩიხი №2-ში მდებარე უძრავი ქონება საერთო ჯამში 452,87 კვმ ფართი, მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის №18.205.370 განკარგულებით, საკუთრებაში, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადაეცემა 6 მოქალაქეს. ეს მოქალაქეები ხანგრძლივი დროით ცხოვრობდნენ და სარგებლობდნენ ამ ფართებით.

მომხრე- 7

კომისიის წევრთა უმრავლეობით გადაწყდა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა